საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2452
12/06/2022

2452-21-2-202206120933

შპს „ეიჩე რენტალს"
მის: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, მცხეთის ქ. №8, ბინა №60
ელ.ფოსტა: zaza_ergemlidze@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1443 განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. თვალივის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის Shp ფაილები. ამასთან, დოკუმენტში მოცემული წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები ვერ იდენტიფიცირდება და საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, მდინარიდან წყლის ამოღება ხდება მდინარის პირას ხელოვნურად მოწყობილი ბეტონის ჭიდან, სადაც წყალი შედის თვითდინებით, 30 სმ დიამეტრის და 3 მ სიგრძის პოლიეთილენის მილით. დოკუმენტში, მოცემული უნდა იყოს როგორც ჭის, ისე მილის განთავსების GPS კოორდინატები;
- დოკუმენტის მიხედვით, „ინერტული მასალის რეცხვისას და სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგარში სველი წესით მსხვრევისას საჭიროა 50000-100000 $მ^3$/წელ წყალი". დაზუსტებას საჭიროებს, საწარმოო მიზნით ინერტული მასალის რეცხვისას გამოყენებული წყლის რაოდენობა;
- საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იყოს მდ. შარახევის ღვარცოფული ბუნება და დაგეგმილი საქმიანობა უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო